

ფეხბურთი



2010 წლის მსოფლიო თასი
იაპონიის ეროვნული ნაკრები 2010 წლის სამხრეთ აფრიკის მსოფლიო ჩემპიონატის
მეთექვსმეტედ ფინალში (ფოტო Kishimoto-სგან)

შესავალი

მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ცნობილ სპორტის სახეობა ფეხბურთს იაპონიაში *სოკერი* ეწოდება, ტერმინი ძირითადად ამერიკული ფეხბურთისაგან გასარჩევად გამოიყენება, რომელსაც ასევე ჰყავს მიმდევრები იაპონიაში, უმეტესწილად უნივერსიტეტებსა და კორპორაციებში. იაპონიის საფეხბურთო სისტემა ორგანიზებულია იაპონიის ფეხბურთის ასოციაციის (JFA) მიერ, რომელიც შეიქმნა 1921 წელს. 1948 წელს ეროვნულ ჩემპიონატს მიენიჭა იმპერატორის თასის ტიტული.

J-ლიგა პროფესიული ფეხბურთი



ახალგაზრდა ფეხბურთელები იაპონიის ყოფილი ფეხბურთელი იჰარა მასამი ბავშვებს უტარებს საწრთველ გაკვეთილს (ფოტო Kishimoto-სგან)

იაპონიის ეროვნულმა საფეხბურთო კლუბმა დუისბურგიდან, დასავლეთ გერმანიიდან, მწვრთნელად მოიწვია დეტმარ კრამერი, ვისი თაოსნობითაც მიმდინარეობდა გუნდის ინტენსიური წრთვნა 1960-63 წლებში. 1968 წელს მექსიკაში ოლიმპურ თამაშებზე გუნდმა მოიპოვა ბრინჯაოს მედალი კრამერის და ეროვნული გუნდის შეუპოვარი ძალისხმევის შედეგად.

1987 წელს მორი კენჯიმ, იაპონიის ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელმა, საჭიროდ მიიჩნია მოთამაშეების პროფესიონალებად დარეგისტრირება. 1988 წელს იაპონიის საფეხბურთო ლიგამ (JSL) შექმნა სამოქმედო

კომიტეტი, რათა განეხილათ გეგმა იაპონიაში სპორტის ამ სახეობის ამოქმედების შესახებ. მომდევნო წელს კომიტეტმა პროფესიული ლიგის ჩამოყალიბების რეკომენდაცია მისცა ფეხბურთის ლიგას.

დაგეგმივიდან დაახლოებით 2 წლის შემდეგ, 1991 წლის იანვარში იაპონიის ფეხბურთის ასოციაციამ წარადგინა პროფესიული ლიგის ძირითადი სტრუქტურა. უმოკლეს ვადებში შეირჩა ახალი ლიგის 10 მონაწილე, და იმავე წლის ივლისის თვეში ლიგის სახელწოდებაც შეირჩა: იაპონიის პროფესიული საფეხბურთო ლიგა, შემოკლებით - J-ლიგა.

J-ლიგა იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის დაქვემდებარებაშია. პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს პროფესიონალური თამაშების ორგანიზება და შეინახოს ოფიციალური თამაშის ჩანაწერები. მის კომპეტენციას განეკუთვნება რეგულაციების ჩამოყალიბება; მოთამაშეების, მწვრთნელებისა და მსაჯების ტრეინინგი, სერტიფიცირება და რეგისტრაცია; J-ლიგა აქტიურადაა ჩართული სხვა სფეროშიც, მაგალითად როგორცაა სატელევიზიო მაუწებლობის უფლებების გაყიდვა და სპონსორების მოძიება.

1992 წლის 5 სექტემბერს J-ლიგის იამაძაკი ნაბისკოს თასმა, საფეხბურთო მატჩი დაიწყო ახალი ლიგის საფეხბურთო ტურნირით. ლიგის თამაშები 1993 წლის 15 მაისს გაიხსნა. ნაკრების რიცხვი 12-მდე გაიზარდა 1992 წელს, 14-მდე - 1995 წელს, 16- მდე - 1996 წელს, 17-მდე - 1997 წელს და 1998 წელს კი - 18-მდე. 1998 წელს J-ლიგამ წარადგინა ორდანაყოფიანი სისტემა: J1 და J2.

J-ლიგის წარმატება განპირობებული იყო იმით, რომ უცხოელი ფეხბურთელები იაპონიას სტუმრობდნენ პროფესიული თვალსაზრისით. J-ლიგაში ბევრი ცნობილი უცხოელი თამაშობდა, რომლებიც მანამდე თავიანთი ქვეყნების ეროვნულ ნაკრებში თამაშობდნენ, მათ შორის ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მოთამაშე ზიკო, ინგლისელი გარი ლინეკერი, იტალიელი სალვატორე შილლაჩი და ყოფილი იუგოსლავიიდან დრაგან სტოიკოვიჩი. იაპონელი ფეხბურთელი მიურა კაძუიოში ასევე J-ლიგის პოპულარული მოთამაშე გახდა მას შემდეგ, რაც ბრაზილიაში პროფესიონალური კარიერა დაიწყო, რომ იაპონიის ეროვნული ნაკრების ვარსკვლავი გამხდარიყო. J-ლიგა აქტიურად ხელს უწყობს აქტივობებს გულშემატკივრების

რაოდენობის გაზრდის თვალსაზრისით სხვადასხვა ადგილებში, სადაც საფეხბურთო კლუბებია განთავსებული; ასევე ცდილობს საფეხბურთო გუნდების აქტიურად ჩართვას გრასრუტების დონეზე საზოგადოებრივ საქმიანობაში, მაგალითად, ცდილობს ფეხბურთით დაანტერესოს ახალი თაობები, ჯერ კიდევ დაწყებითი სკოლის ასაკიდან.

J-ლიგა ხელს უწყობს იაპონელ ფეხბურთელთა თამაშის დონის იმგვარ ამაღლებას, რომ ბევრი მათგანი, მათ შორის ნაკატა ჰიდეტოში, ნაკამურა სუნსუკე და ჰონდა კეისუკე, გადავიდნენ უცხოეთის საფეხბურთო კლუბებში სათამაშოდ.

დიდი ხნის ნანატრი მსოფლიო თასი

FIFA-ს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა, მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი, იაპონური ფეხბურთის დიდი ნატურა იყო მას შემდეგ, რაც იაპონიამ პირველად მიიღო მონაწილეობა შესარჩევ ტურში 1954 წელს შვეიცარიაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე. გუნდმა თითქმის გაიარა საკვალიფიკაციო ეტაპი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1994 წლის გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის და მხოლოდ ერთი მოგება სჭირდებოდა აზიის საკვალიფიკაციო ეტაპათვის ფინალში გასასვლელად, მაგრამ ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა, როდესაც მეტოქე გუნდმა დამატებით დროში გაიტანა გოლი. იაპონიის ნაკრებმა ამის შემდეგ მსოფლიო თასზე მაინც მოახერხა მოხვედრა, რომელიც 1998 წელს საფრანგეთში გაიმართა, მას შემდეგ, რაც დასძლია გარკვეული გამოწვევები, მათ შორის იაპონიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის შეცვლა, საკვალიფიკაციო რაუნდის დროს.

2002 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი



2002 წლის მსოფლიო თასი
2002 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე იაპონიის ნაკრები აღნიშნავს გამარჯვებას (ფოტო Kishimoto-სგან)

ოფიციალურად ცნობილი, როგორც "2002 წლის FIFA-ს მსოფლიო თასი - კორეა/იაპონია" ეს იყო პირველი მსოფლიო თასის გათამაშება, რომელიც აზიაში ჩატარდა და პირველი, რომელსაც ამ ორმა ქვეყანამ უმასპინძლა. საერთო ჯამში 32-მა გუნდმა ითამაშა 20 მოედანზე, ამათგან 10 მოედანი იყო იაპონიაში და 10 სამხრეთ კორეაში, 31 მაისიდან 30 ივნისამდე პერიოდში. ბევრი მოედანი ახალად აშენდა ამ ტურნირისთვის. იაპონია საკუთარ მოედანზე თამაშობდა და იაპონიის ნაკრებმა მეთექვსმეტედ ფინალში მოახერხა გასვლა.

2010 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი

2010 წლის სამხრეთ აფრიკის მსოფლიო ჩემპიონატზე, იაპონია გაემგზავრა ნიგერიის ნაკრებზე გამარჯვების მოსაპოვებლად, რათა თავის ისტორიაში მეორედ გასულიყო მეთექვსმეტედ ფინალში, დანიის სრული დამარცხებისა და ჰოლანდიასთან მხოლოდ ერთი მარცხის შემდეგ.

იაპონიის ქალთა ფეხბურთი



2011 წლის FIFA-ს ქალთა მსოფლიო თასი გერმანიაში მსოფლიოს მეექვსე თასზე იაპონიის ეროვნულმა ნაკრებმა პირველად აიღო თასი (ფოტო Kishimoto-სგან)

იაპონელი ქალები 1920-იანი წლებიდან თამაშობენ ფეხბურთს, მაგრამ ამ სპორტმა თავისი პოპულარობის უმაღლეს მწვერვალს 1970-იან წლებში მიაღწია. ამ დრომდე არსებობდა კორპორაციული ან რეგიონალური ქალთა ნაკრები გუნდები; 1979 წელს იაპონიის ქალთა ფეხბურთის ასოციაცია ჩამოყალიბდა FIFA-ს სამართლიან შენიშვნაზე პასუხად, ქალთა ფეხბურთის პოპულარიზაციის თემასთან დაკავშირებით. მომდევნო წელს გაიმართა პირველი ეროვნული შეჯიბრი. 1981 წელს, შეიქმნა ეროვნული ნაკრები და 1989 წელს დაფუძნდა ქალთა საფეხბურთო ლიგა. 1991 წელს ეროვნულმა ნაკრებმა FIFA-ს ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა, მასპინძელი ქვეყანა იყო ჩინეთი. 2011 წელს იაპონიის ეროვნულმა ნაკრებმა პირველად მოიპოვა მეექვსე მსოფლიო თასი გერმანიაში. გუნდის კაპიტანი, ჰომარე სავა საუკეთესო ბომბარდირად და საუკეთესო

მოთამაშედ დაასახელეს.

საერთაშორისო საფეხბურთო ასოციაციების ფედერაციამ (FIFA) სავა ჰომარე, იაპონიის ეროვნული ნაკრების კაპიტანი, წლის საუკეთესო ფეხბურთელ ქალად დაასახელა, რითაც ხაზი გაუსვა მის ბრწყინვალე თამაშს მსოფლიო თასის ასპარეზობაზე.

J-ლიგის პირველი დივიზიონის გუნდები

გუნდის სახელწოდება	პრეფექტურა ან ქალაქი	გაწევრიანების წელი
Vegalta Sendai	მიაგი	1999
FC Tokyo	ტოკიო	1999
Kawasaki Frontale	კანაგავა	1999
Kashima Antlers	იბარაკი	1991
Urawa Reds	საიტამა	1991
YokohamaF. Marinos	კანაგავა	1991
Ventforet Kofu	იამანაში	1999
Albirex Niigata	ნიიგატა	1999
Omiya Ardija	საიტამა	1999
Kashiwa Reysol	ჩიბა	1995
Shimizu s-pulse	შიძუოკა	1991
Nagoya grampus	აიჩი	1991
Gamba Osaka	ოსაკა	1991
Serezo Osaka	ოსაკა	1995
Vissel Kobe	ჰიოგო	1997
Sanfrecce Hiroshima	ჰიროშიმა	1991
Tokushima Vortis	ტოკუშიმა	2005
Sagan Tosu	საგა	1999



*J-ლიგის მატჩი
(J LEAGUE-ის ფოტოებიდან)*

2012 წლის დეკემბრის თვის მიხედვით